



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეთი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media.

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიების ლაბორატორია: TellingHerStory
2. ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების საგამოძიებო ჟურნალისტიკის მხარდამჭერი გრანტები
3. დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა
4. Istanbul Photo Awards
5. საგრანტო კონკურსი აშშ-ს გაცვლითი პროგრამის მონაწილეთათვის
6. საერთაშორისო კონფერენცია აგრო ჟურნალისტიკაში
7. DW აკადემიის სტიპენდიები ჟურნალისტებისთვის
8. iPhone-ით გადაღებული ფოტოების კონკურსი
9. ფოტოკონკურსი „ჩვენ ვაფასებთ ჩვენ თემს, ქალაქებსა და რეგიონს“
10. ბორის ნემცოვის საზაფხულო სკოლა ჟურნალისტებისთვის
11. ქალების მიერ შექმნილი ფილმების ფესტივალი Legal Gender Cultural Foundation-საგან
12. Tulip Press Awards - დაჯილდოება ადამიანის უფლებების დაცვაში ჟურნალისტების ძალისხმევის მხარდასაჭერად
13. საერთაშორისო კინოფესტივალი «ოქროს გარგარი»
14. პრემია სამეცნიერო ჟურნალისტიკაში
15. სარეზიდენტო პროგრამა ჟურნალისტებისთვის
16. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტები
17. Mongabay იღებს სინოფსისებს ახალი პროექტისთვის
18. ღია კარის საგრანტო პროგრამა ევროპის ფონდისგან
19. GNI გთავაზობთ ციფრული ზრდის პროგრამას
20. პანდემიის გავლენა ლოკალურ თემზე - პროექტების დაფინანსება
21. ღია წყაროებში არსებული მონაცემების გამოყენების კურსი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას - Advocacy Assembly

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიების ლაბორატორია: TellingHerStory

გეოგრაფია - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, რუსეთი, უკრაინა

პრალის სამოქალაქო ცენტრი იღებს განაცხადებს ლაბორატორია- TellingHerStory-ში მონაწილეობის მისაღებად. პროგრამის ფოკუსია - კომუნიკაცია დაფუძნებული რეალური ადამიანების ისტორიებსა და მკაფიო, გასაგები call-to-action მიდგომაზე, რომელიც დაეხმარება ახალი აუდიტორიის მობილიზებას. ნამდვილი ლაბორატორიის მსგავსად თქვენ დაგეხმარებათ პროფესიონალები - სპეციალისტების მარკეტინგის, სარეკლამო და კომუნიკაციების სფეროდან.

საბოლოოდ თქვენ გექნებათ უამრავი ინსაიდერული ინფორმაცია და მზა კონცეფცია მომავალი კამპანიისთვის. საუკეთესო იდეები მიიღებ მხარდაჭერას 8 000 ევრომდე. ლაბორატორიაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საინიციატივო ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, რომელთაც აქვთ: ოჯახში ძალადობის თემაზე მუშაობის გამოცდილება; წარმოდგენა იმის შესახებ თუ რომელი კონკრეტული პრობლემის გადაჭრა არის სასურველი; მინიმუმ 2 ადამიანი გუნდში, რომელიც ჩაერთვება კამპანიის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

ონლაინ ლაბორატორია გაგრძელდება 29 მარტიდან 23 მაისამდე.

დანვრილებით: <https://bit.ly/3b6C7Tk>

ვადა: 14 მარტა 2021 წ.

2. ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების საგამოძიებო ჟურნალისტიკის მხარდამჭერი გრანტები

გეოგრაფია - მსოფლიო

განაცხადების წარდგენა შეუძლიათ პროფესიონალ ჟურნალისტებს, აქტივისტებს და ბლოგერებს, რომლებიც საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულებით საქმიანობენ.

ორგანიზაცია Justice for Journalists, გთავაზობთ იმ დანაშაულების გამოძიებისთვის გრანტებს, რომლებიც მიმართული იყო ჟურნალისტებისა და ბლოგერების წინააღმდეგ.

პროგრამა იღებს განაცხადებს იმ მასალების მოსამზადებლად, რომლებზე მუშაობაც არ მოიცავს საზღვარგარეთ მოგზაურობას. მაქსიმალური ოდენობა არის 50 000 დოლარი.

განაცხადი უნდა მოიცავდეს განწერილ ბიუჯეტს და აღწერილობას.

დანვრილებით: <https://jfj.fund/grantapplication/>

ვადა: 14 მარტი 2021 წ.

3. დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა

გეოგრაფია - საქართველო

აშშ-ის საელჩო საქართველოში აცხადებს 2021 წლის დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის შესარჩევ კონკურსს.

პროგრამის მიზნები:

დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების კომისიის მიზანია, დააფინანსოს სპეციფიკური პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს დემოკრატიას, აძლიერებს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს და ზრუნავს მოქალაქეთა განათლებაზე საქართველოში. გრანტის მიღება შეუძლიათ საქართველოში დაფუძნებულ და რეგისტრირებულ არაკომერციულ, არასამთავრობო ორგანიზაციებს, უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს და მედია ორგანიზაციებს.

გრანტის მაქსიმალური რაოდენობა თითოეულ პროექტზე 50,000 აშშ დოლარია.

დანვრილებით : <https://bit.ly/3cvxXFq>

ვადა : 15 მარტი 2021 წ.

4. Istanbul Photo Awards

გეოგრაფია - მსოფლიო

სააგენტო ანადოლუ იღებს განაცხადებს საერთაშორისო ფოტოკონკურსში Istanbul Photo Awards 2021 მონაწილეობის მიზნით. წარმოდგენილი ნამუშევრები უნდა იყოს შექმნილი 2020 წლის განმავლობაში და შესაძლებელია იყოს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.

ნომინაციები: ახალი ამბები; ახალი ამბების ისტორია; სპორტი; სპროტ. ისტორია; ყოველდღიური ცხოვრება და პორტრეტი (ფოტო სერია).

გამარჯვებული კატეგორიაში «წლის ფოტო» მიიღებს ფულად პრიზს 6 000 დოლარის ოდენობით. დანარჩენ სხვა კატეგორიებში გამარჯვებულები მიიღებენ: პირველი ადგილი - 3 000 დოლარი, მეორე ადგილი - 1 500 დოლარი, მესამე - 1 000 დოლარი.

დანვრილებით: <http://www.istanbulphotoawards.com/Home/Index>

ვადა: 18 მარტი 2021 წ.

5. საგრანტო კონკურსი აშშ-ს გაცვლითი პროგრამის მონაწილეთათვის

გეოგრაფია - საქართველო

აშშ-ის საელჩოს აცხადებს 2021 წლის საგრანტო კონკურსს გაცვლითი პროგრამის მონაწილეთათვის (ალუმნებისთვის).

პროგრამის ფარგლებში ალუმნებზე გაიცემა ინდივიდუალური გრანტები შემდეგი მიმართულებებით: დემოკრატიისა და დასავლური ინტეგრაციის ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია, კიბერ განათლება და კიბერუსაფრთხოება, საგანმანათლებლო სისტემების გაძლიერება, ხარისხიან ზოგად განათლებაზე წვდომის ზრდა, ეკონომიკური განვითარება და მენარმეობის ხელშეწყობა. პროექტზე მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა შეადგენს 15,000 აშშ დოლარს.

დანვრილებით: <https://bit.ly/3j8lwwA>

ვადა: 22 მარტი 2021 წ.

6. საერთაშორისო კონფერენცია აგრო ჟურნალისტიკაში

გეოგრაფია - საქართველო, სომხეთი აზერბაიჯანი

შემოუერთდით საერთაშორისო კონფერენციას აგრო ჟურნალისტიკისა და აგრო კომუნიკაციის განათლების საკითხებში. კონფერენციის მიზანია აგრო კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობა კავკასიის რეგიონში და თანამედროვე მეთოდების დამკვიდრება აგრო ჟურნალისტიკის სწავლებაში.

საკონფერენციო სტატიების რევიუირებას ქართველებთან ერთად უცხოელი პროფესორები განახორციელებენ.

დანვრილებით: <http://mediaedu.ge/>

ვადა: 30 მარტი 2021 წ

7. DW აკადემიის სტიპენდიები ჟურნალისტებისთვის

გეოგრაფია - მსოფლიო

DW აკადემია იღებს განაცხადებს მედიის სფეროში საერთაშორისო კვლევების პროგრამაში მონაწილეობისთვის (Media Studies Program), რომელიც გაიმართება ბონში. სტუდენტები, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ 4 სემესტრს მიიღებენ მაგისტრის ხარისხს. პროგრამა მოიცავს კვლევით ნაწილს, ლექციებს და პრაქტიკულ მეცადინეობების და აერთიანებს შემდეგ დისციპლინებს: მედია და განვითარება, მასკომუნიკაცია და მედია მენეჯმენტი.

დანვრილებით: <https://www.dw.com/en/dw-akademie/application/s-12278>

ვადა: 31 მარტი 2021 წ.

8. iPhone-ით გადაღებული ფოტოების კონკურსი

გეოგრაფია - მსოფლიო

კონკურსში მონაწილეობა და Apple პროდუქტის მოგება შეუძლიათ ფოტოგრაფებს მთელი მსოფლიოდან.

სამი ძირითადი გამარჯვებული საჩუქრად მიიღებს Apple-ს უახლეს პროდუქციას, ხოლო გამარჯვებულები ყველა 18 კატეგორიაში მიიღებენ ოქროს სიმბოლოებს. აღნიშნულ კატეგორიებში პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელების ნამუშევრები გამოქვეყნდება ონლაინ გალერეაში IPPAWARDS.

ყველა ფოტო უნდა იყოს გადაღებული iPhone-ს ან iPad-ის მეშვეობით. Photoshop-ით ან სხვა რედაქტირების პროგრამით დამუშავებული ფოტოები არ დასაშვებია iPhone-ს აპლიკაციების გამოყენება.

მონაწილეობის ღირებულება ერთი ფოტოს წარდგენის შემთხვევაში 5,5 დოლარს შეადგენს, 20 ფოტოს შემთხვევაში 55,5 დოლარი.

ვადა: 31 მარტი 2021 წ.

დანვრილებით: <https://www.ippawards.com/the-competition/>

9. ფოტოკონკურსი „ჩვენ ვაფასებთ ჩვენ თემს, ქალაქებსა და რეგიონს“

გეოგრაფია - მსოფლიო

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მონწვეული არიან ახალგაზრდა ფოტოგრაფები და სტუდენტები მთელი მსოფლიოდან.

UN-Habitat და ბისკრას უნივერსიტეტის ლაბორატორია (Laboratory of Architecture and Environmental Design) უძღვებიან ფოტოკონკურსს „ჩვენ ვაფასებთ ჩვენ თემს, ქალაქებსა და რეგიონს.“

მიიღება ფოტოები, რომლებიც ასახავს: საზოგადოების წვლილს ქალაქად თუ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში; სოფელსა და ქალაქს შორის არსებული კავშირს.

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის აღწერა არაუმეტეს 100 სიტყვისა არაბულ, ინგლისურ, ფრანგულ თუ ესპანურ ენაზე.

გამარჯვებულები ხუთივე კატეგორიაში მიიღებენ სერტიფიკატებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2PtmNYw>

ვადა: 31 მარტი 2021 წ.

10. ბორის ნემცოვის საზაფხულო სკოლა ჟურნალისტებისთვის

გეოგრაფია - აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, რუსეთი, პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ევროპა, აშშ

ბორის ნემცოვის ფონდმა დაიწყო მიღება ჟურნალისტიკის საზაფხულო და სოციოკულტურული კვლევების სკოლაში.

სასწავლო პროგრამა მოიცავს წამყვანი ჟურნალისტების ლექციებსა და სემინარებს, პრაქტიკულ დავალებებს - ვიდეო და ფოტო გადაღებებს და კონტენტის ინტერნეტში დისტრიბუციას.

სასწავლო ენა - რუსული. 2021 წელს სწავლება შედგება 12-დან 31 ივლისამდე.

სწავლების ფორმაზე გადანაცვლებას მიიღება ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე.

მონაწილეები შეიძლება იყონ ჟურნალისტები, ბლოგერები, მედია და სამოქალაქო აქტივისტები, მკვლევრები, არანაკლებ სამწლიანი პროფესიული გამოცდილებით.

დანვრილებით: <https://summerschool.nemtsovfund.org/>

ვადა: 1 აპრილი 2021 წ.

11. მქალების მიერ შექმნილი ფილმების ფესტივალი Legal Gender Cultural Foundation-საგან

გეოგრაფია - მსოფლიო

ქალთა მიერ შექმნილი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ორგანიზებულია ფონდი LIZA-ს მიერ (Legal Gender Cultural Foundation), გაიმართება ერევანში 9-დან 13 ნოემბრამდე.

კონკურსზე ნამუშევრების წარდგენა შეუძლიათ ქალ კინემატოგრაფისტებს - მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური, მხატვრული და ანიმაციური ფილმების ავტორებს.

საკონკურსო პროგრამის ნომინაციებს შორის არის: „საუკეთესო ფილმი“ და „სპეციალური პრიზი.“

საკონკურსო პროგრამასთან ერთად გაიმართება ცნობილი ქალი რეჟისორების ფილმების რეტროსპექტივა. საკონკურსოდ წარმოდგენილი ფილმები უნდა იყოს არანაკლებ 30 წუთისა. ნამუშევრებს უნდა ახლდეს ინგლისური სუბტიტრები.

დანვრილებით: <https://filmfreeway.com/InternationalWomensFilmFestivalKIN>

ვადა: 1 აპრილი 2021 წ.

12. Tulip Press Awards - დაჯილდოება ადამიანის უფლებების დაცვაში ჟურნალისტების ძალისხმევის მხარდასაჭერად

გეოგრაფია - მსოფლიო

დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ცენტრი და ნიდერლანდების სამეფოს საელჩო იწყებს განაცხადების მიღებას პრემიაზე Tulip Press Awards, რომლის მიზანაც გახლავთ ადამიანის უფლებების დაცვაში ჟურნალისტების ძალისხმევის ხაზგასმა. პრემიის მიზანია წაახალისოს ჟურნალისტები და ფოტო ჟურნალისტები მოამზადონ მასალები ადამიანის უფლებების შესახებ და ამ გზით აამაღლოს მოლდოვაში მცხოვრები საზოგადოების ცნობიერება.

პრეტენდენტებმა უნდა წარადგინონ სამი დამოუკიდებელი ფოტო ან ფოტოსერია, რომელიც მომზადებულია 2020 წლის პირველი აპრილიდან 2021 წლის 15 აპრილამდე. თითოეულ კატეგორიაში გამოყოფილია ფულადი პრიზი 300 ევროს ოდენობით.

დანვრილებით: <https://tinyurl.com/7cnuabz>

ვადა: 15 აპრილი 2021 წ.

13. საერთაშორისო კინოფესტივალი «ოქროს გარგარი»

გეოგრაფია - მსოფლიო

ერევნის საერთაშორისო კინოფესტივალი «ოქროს გარგარი», რომელიც სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით იმართება, წელს 11-18 ივლისს შედგება.

ფესტივალის ფარგლებში იმართება საერთაშორისო კონკურსი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ნომინაციაში.

კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან პრიზებით: „ოქროს გარგარი« და „ვერცხლის გარგარი.“

სარეგისტრაციო შენატანი - 10-2 აშშ დოლარი.

დანვრილებით: <https://gaiff.am/about-us/regulations>

ვადა: 15 აპრილი 2021 წ.

14. პრემია სამეცნიერო ჟურნალისტიკაში

გეოგრაფია - მსოფლიო

American Geophysical Union (AGU) გასცემს სამ პრემიას სამეცნიერო ჟურნალისტიკის მიმართულებით:

დევიდ პერლმანის პრემია „ახალი ამბები - გამორჩეული მიღწევები სამეცნიერო ჟურნალისტიკის სფეროში“;

უოლტერ სალივანის პრემია „სტატიები - გამორჩეული მიღწევები სამეცნიერო ჟურნალისტიკის სფეროში“;

რობერტ კოუენის პრემია „სამეცნიერო ჟურნალისტიკაში მდგრადი მიღწევებისათვის“.

ნამუშევრები უნდა იყოს გამოქვეყნებული ან ეთერში გადაცემული 2020 წლის განმავლობაში. ნამუშევრებს უნდა ახლდეს ინგლისურენოვანი სუბტიტრები.

პირველ ორ კატეგორიაში გამარჯვებულები მიიღებენ 5 000 დოლარს. ასე, ყველა გამარჯვებულს დაუფინანსდებათ შემოდგომისთვის დაგეგმილ AGU-ს შეხვედრაზე მგზავრობა.

დანვრილებით: <https://www.agu.org/Honor-and-Recognize/Honors/Journalism-Awards>

ვადა: 15 აპრილი 2021 წ.

15. სარეზიდენტო პროგრამა ჟურნალისტებისთვის

გეოგრაფია - მსოფლიო

ნიუ-ჰემპშირში დაგეგმილ სარეზიდენტო პროგრამაში ჩართვის მიზნით განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებსა და მხატვრებს.

"მაკდაუელის კოლონია" სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში იღებს განაცხადებს ჟურნალისტებისაგან, რომლებიც მუშაობენ მოცულობით პროექტებზე. პროგრამა კანდიდატებს შესაძლებლობას აძლევს შემოქმედებით პროექტებზე იმუშავონ ცნობილ გარემოში, პერიოდი შეადგენს მაქსიმუმ 8 კვირას.

მომდევნო პროგრამა შედგება 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე.

განაცხადების წარდგენა შეუძლიათ როგორც გამოცდილ ჟურნალისტებს ისე დამწყებებს.

პროგრამა მონაწილეთათვის უფასოა. შესაძლოა სტიპენდიის მიღება ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად.

დანვრილებით: <https://www.macdowell.org/apply/apply-for-fellowship>

ვადა: 15 აპრილი 2021 წ.

16. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტები

გეოგრაფია - მსოფლიო

გრანტების მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომლებიც მუშაობენ გამოძიებაზე.

გრანტების მაქსიმალური მოცულობაა – 10 000 დოლარი. თანხა გათვლილია სამგზავრო, ტექნიკის დაქირავების და დოკუმენტაციის შეგროვების ხარჯის დასაფარად. თანხის ნახევარი განაცხადის დადასტურების შემდეგ ირიცხება, მეორე ნახევარი კი გამოძიების დასრულების შემდეგ. განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ამერიკელ და სხვა ქვეყნების ჟურნალისტებს, რომელთა გამოძიებას აქვს კავშირი აშშ-თან.

დანვრილებით: <http://fij.org/apply-for-a-grant-from-fij/>

ვადა: 3 მაისი 2021 წ.

17. Mongabay იღებს სინოფსისებს ახალი პროექტისთვის

გეოგრაფია - მსოფლიო

სინოფსისების წარდგენა ანაზღაურებადი პუბლიკაციების დასამზადებლად შეუძლიათ გამოცდილ ჟურნალისტებს. პროექტის ფარგლებში შეიქმნება ინფორმაციული სტატიების ნამუშევრების სერია ერთობლივად გამოყენებადი რესურსების და სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების (ჰაერი, წყალი, ბიომრავალფეროვნება) მდგომარეობის შესახებ. განაცხადები მიიღება ინგლისურ ენაზე. შეთავაზებული მასალები უნდა გამოქვეყნდეს 30 სექტემბრამდე.

ვადა: განაცხადები მიიღება ბიუჯეტის ამონურვამდე

დანვრილებით: <https://cutt.ly/gkmqzoV>

18. ღია კარის საგრანტო პროგრამა ევროპის ფონდისგან

გეოგრაფია - საქართველო

ევროპის ფონდის ღია კარის საგრანტო პროგრამა ხელს უწყობს ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საგრანტო პროექტების მეშვეობით, გამოავლინონ საზოგადოების წინაშე მდგომი მწვავე პრობლემები და მოიძიონ მათი გადაჭრის ინოვაციური გზები.

ფონდის მიერ ბოლო წლებში დაფინანსებული პროექტების ანალიზმა აჩვენა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობის ბიუჯეტი საშუალოდ შეადგენს 50,000-60,000 ლარს, რაც, უმეტეს შემთხვევებში, საგრანტო პროექტის მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურად მიღწევის საშუალებას იძლევა. ევროპის ფონდი განმცხადებლებს ურჩევს საპროექტო განაცხადის მომზადებისას ამ გარემოების გათვალისწინებას.

საპროექტო განაცხადები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ნებისმიერ დროს, მთელი წლის განმავლობაში.

დანვრილებით: <https://bit.ly/3qeLGE1>

19. GNI გთავაზობთ ციფრული ზრდის პროგრამას

გეოგრაფია - მსოფლიო

უფასო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ახალი ამბების მიმართულების ორგანიზაციებს.

Google News Initiative (GNI)-ის მიერ ორგანიზებული ციფრული ზრდის პროგრამა ეხმარება მცირე და საშუალო ზომის ახალი ამბების გამომცემლებს პოტენციალის ზრდაში, რაც ხელს შეუწყობს ინტერნეტში ბიზნესის განვითარებას.

პროგრამა შემუშავებულია ექსპერტების მიერ და მოიცავს გაკვეთილებს მიღებულს GNI-ის პროექტებიდან. შესაძლო თემები: მუშაობა აუდიტორიასთან, მკითხველებისგან სარგებლის მიღება, მუშაობა მონაცემებთან და ბევრი სხვა.

მასალები ხელმისაწვდომია ინგლისურ, ესპანურ, პორტუგალიურ, ფრანგულ, იტალიურ, პოლონურ, გერმანულ, კორეულ, იაპონურ და ინდონეზიურ ენებზე.

დანვრილებით: <https://cutt.ly/lkmq57t>

20. პანდემიის გავლენა ლოკალურ თემზე - პროექტების დაფინანსება

გეოგრაფია - მსოფლიო

National Geographic შექმნა ფონდი ჟურნალისტებისათვის – COVID-19 Emergency Fund for Journalists.

თანხის მოცულობა ვარირებს 1 000-დან 8 000 დოლარამდე, პროექტებისათვის, რომლებიც მოგვითხრობს პანდემიასთან ბრძოლის და ადამიანების ცხოვრებაზე მსოფლიო კრიზის გავლენის შესახებ.

წახალისებულია განაცხადები რომლებიც გათვლილია კონტენტის გავრცელებაზე ლოკალურ და ჰიპერლოკალურ თემში.

განაცხადები მიიღება რეგულარულად. მასალები უნდა იყოს წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე.

დანვრილებით: <https://bit.ly/33EWin5>

21. ღია წყაროებში არსებული მონაცემების გამოყენების კურსი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას - Advocacy Assembly

გეოგრაფია - მსოფლიო

Advocacy Assembly გთავაზობთ კურსს “ღია წყაროების გამოყენება ჟურნალისტური გამოძიებისას - ადამიანის უფლებები.”

აღნიშნული უფასო ონლაინ კურსის გავლა შეუძლია ყველას ვინც დაინტერესებულია ღია წყაროებში არსებული მონაცემების გამოყენებით, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თემების დამუშავებისას.

პროგრამა გათვლილია დამოუკიდებელ სწავლებებზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს. რეგისტრაცია არ არის სავალდებულო.

დანვრისთვის: <https://advocacyassembly.org/en/courses/>

© Baltic Centre for Media Excellence, 2021

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები:

აღინა რუდინა, არშალუის მურადიანი, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიევსი, ნაილია ალიევა, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონეწერილი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

<https://www.journalismfund.eu/>

<https://earthjournalism.net/>

<https://www.praguecivilsociety.org/>

<https://jfj.fund/>

<https://ge.usembassy.gov/>

<http://www.istanbulphotoawards.com/>

<http://mediaedu.ge/>

<https://www.dw.com/>

<https://www.ippawards.com/>

<https://summerschool.nemtsovfund.org/>

<https://filmfreeway.com/>

<https://www.agu.org/>

<https://www.macdowell.org/>

<http://fij.org/>

<https://advocacyassembly.org/>

<https://www.nationalgeographic.org/>

<https://newsinitiative.withgoogle.com/>

<http://www.epfound.ge/>

<https://mongabay.org/>